

ს.ს.ი.პ. მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იელის საჯარო სკოლის  
პედაგოგის  
ნინო ჭიჭინაძის  
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში

**თემა:** მოსწავლეთა წერითი უნარების გაუმჯობესება თანამედროვე სტრატეგიების გამოყენებით ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე IV კლასის მოსწავლეთა მაგალითზე

**კვლევის ანგარიშის ავტორი:** მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იელის საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგი ნინო ჭიჭინაძე

*„წერის ძირითადი მიზანია – კომუნიკაცია, შესწავლა, ინფორმირება, თვითრეფლექსია და ასევე, დასხვათაგართობა. გაზიარება და შედეგად წარმატების მოპოვება, ბავშვებში წერის მთავარ წამახალისებელ ფაქტორს წარმოადგენს“. – სტივენ გრამი, არიზონას უნივერსიტეტი*

იელი 2017/18 სასწავლო წელი

## სარჩევი

შესავალი -----3-----

თავი I საკვლევი თემის მიმოხილვა -----4-----

- 1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მისი აქტუალობა; პრობლემის დასაბუთება
- 1.2 მოსალოდნელი შედეგები მოსწავლეთათვის, მასწავლებლისა და კოლეგებისათვის

თავი II კვლევის მიზნები და ამოცანები -----7-----

- 2.1 კვლევის კითხვები/ჰიპოთეზა
- 2.2 კვლევის მიზნები
- 2.3 კვლევის ამოცანა/ამოცანები

თავი III ლიტერატურის მიმოხილვა-ანალიზი -----10-----

თავი IV კვლევის მეთოდოლოგია -----17-----

- 4.1 კვლევის ეტიკა
- 4.2 კვლევის სამიზნე ჯგუფი;
- 4.3 მონაცემთა შეგროვების მეთოდები;
- 4.4 მონაცემთა ანალიზი (გრაფიკები)
- 4.5 კვლევის ვადები

თავი V ინტერვენციები -----30-----

- 5.1 ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება;
- 5.2 ინტერვენციების შეფასების მეთოდები;

თავი VI კვლევის შედეგების ანალიზი -----34-----

- 6.1 პირველადი მონაცემებისა და ინტერვენციების შედეგების ანალიზი;
- 6.2 კვლევის შედეგებია ანალიზი; გამოტანილი დასკვნები;

თავი VII მიგნებები, რეკომენდაციები, შეზღუდვები -----44-----

თავი VIII კვლევის რეფლექსია -----46-----

ბიბლიოგრაფია: -----51-----

დანართები:-----53-----

## შესავალი

აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის, სოფელ იელის საჯარო სკოლის მასწავლებლის ნინო ჭიჭინაძის მიერ ჩატარებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. მასში განხილულია საკვლევ თემასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი გამომწვევი მიზეზები. კვლევა ეყრდნობა სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ ინფორმაციას.

*ნაშრომი შედგება რვა თავისაგან.*

თავი I საკვლევ თემის მიმოხილვა

თავი II კვლევის მიზნები და ამოცანები

თავი III ლიტერატურის მიმოხილვა-ანალიზი

თავი IV კვლევის მეთოდოლოგია

თავი V ინტერვენციები

თავი VI კვლევის შედეგები

თავი VII მიგნებები, რეკომენდაციები, ნაკლოვანებები

თავი VIII კვლევის რეფლექსია

ბიბლიოგრაფია

## თავი I საკვლევი თემის მიმოხილვა

### 1.1 საკვლევი საკითხის მიმოხილვა და მისი აქტუალურობა; პრობლემის დასაბუთება;

ჩემი პედაგოგიურ პრაქტიკიდან გამომდინარე, დაწყებით კლასში მუშაობისას მიწევს კომპლექსურ საკითხებზე მუშაობა. მოსწავლეთა შორის ქართული ენის და ლიტერატურის სწავლების ძირითადი მიზნის: წერა, კითხვა, მოსმენა და ლაპარაკი, მისაღწევად ვიყენებ სხვადასხვა მეთოდებს და ვახორციელებ მრავალფეროვან აქტივობებს. მიუხედავად ამისა მოსწავლეებში ოთხივე მიმართულების, ერთნაირად კარგად განვითარება რთულია. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დაწყებითი საფეხურის დასასრულს მოსწავლეს უნდა შეეძლოს შემდეგი:

- სხვადასხვა ხასიათის, მიზნისა და დანიშნულების წერილობითი ტექსტების შეთხზვა.
- მისთვის ნაცნობ თემებზე სხვადასხვა ხასიათის ტექსტების გამართულად წერა;
- გრამატიკის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის პრაქტიკულად აუცილებელი მინიმუმის შეგნებულად გამოყენება.

შესაბამისად, საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა შეძლონ სწორი აზრიანი წერა, წინადადების გამართულად აწყობა, პუნქტუაციის ნორმების დაცვა და მცირე ზომის ტექსტების ესგ-ს მოთხოვნის მიხედვით შექმნა. 2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში მოსწავლეთა ნაწერებზე მუდმივმა დაკვირვებამ და ანალიზმა, გვაფიქრებინა, რომ უნჯობესია, სასწავლო წლის დასრულებამდე, გამოვკვეთოთ საჭიროება, რაც აქვს კლასს და ვიმუშაოთ ამ მიმართულებით. შესაბამისად, შევარჩიეთ კვლევის თემა.

*კვლევის თემა არის მოსწავლეთა წერითი უნარების გაუმჯობესება, წინადადების აგება და სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება.*

*თემა აქტუალურია, რამდენადაც წერა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, განეკუთვნება გამჭოლ კომპეტენციას - წიგნიერებას. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ: „ტრადიციული გაგებით, სიტყვა „წიგნიერება“ გულისხმობს კითხვის, წერის, მოსმენისა და ლაპარაკის მიზნით ენის გამოყენების უნარს. დღეს ამ ცნების შინაარსი გაცილებით მეტს მოიცავს; თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში იძენს“ („გამჭოლი კომპეტენციები“, ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011:32).*

ამასთანავე, წერა ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენა - ლიტერატურის სტანდარტის მიხედვით ამ საგნის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს კითხვასთან და ზეპირმეტყველებასთან ერთად, ამდენად ამ უნარის განვითარება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე მეტად მნიშვნელოვანია.

ესგ-ს სასწავლო შედეგების მაღალ დონეზე მისაღწევად საჭიროა, მოსწავლეებში სწავლა/სწავლების პროცესი სწორად წარიმართოს. ვინაიდან IV კლასი არის დაწყებითი კლასების შემაჯამებელი საფეხური, სტანდარტი გვავალებულებს მოსწავლეები ფლობდნენ სწორად წერის და მეტყველების უნარებს.

მრავალმხრივ დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მოსწავლეები ფლობენ კითხვის უნარს, შეუძლიათ, სწორად და შეგნებულად წაიკითხონ, აღიქვან ტექსტი, გააანალიზონ იგი და უპასუხონ შეკითხვებს. გადმოსცემენ შინაარს ზეპირი ფორმით, იყენებენ თხრობისას მარტივ და რთულ წინადადებებს. ნაწერმა კი აჩვენა, რომ მოსწავლეებს **აქვთ პრობლემა წერაში**, კერძოდ: რთული წინადადებების წერისას მოსწავლეები უშვებენ შეცდომებს, არასწორად არჩევენ კავშირებს, მიმართავენ ტავტოლოგიას, შესაბამისად ვერ წერენ გამართულ, სწორ წინადადებებს.

ჩემი აზრით, ძირითადად **პრობლემის მიზეზი** შესაძლოა, იყოს ნებისყოფა რომელსაც ითხოვს წერა, მათ უწევთ კონცენტრირდნენ და ყურადღება გააანაწილონ როგორც აზრზე, ასევე ნაწერის ხარისხზე, კალიგრაფიაზე. ამასთანავე შესაძლოა ბავშვებს არ ჰქონდეთ ლექსიკური მარაგი, არ ახსოვდეთ პუნქტუაციის წესები. სწორედ ამ მიმართულებას ეხება კვლევის თემა.

## **1.2 მოსალოდნელი შედეგები მოსწავლეთათვის, მასწავლებლისა და კოლეგებისათვის**

პრაქტიკული კვლევა არის კვლევის ტიპი, რომელშიც შეიძლება ჩართული იყოს სკოლის მოსწავლეები და კოლეგები. შესაძლოა საკვლევე საკითხი გასცდეს ერთი კლასის მაშტაბებს. მან შედეგი მოუტანოს სხვა დაინტერესებულ კოლეგებსაც.

**მოსწავლეებს** კვლევის შედეგად, ექნებათ გაუნჯობესებული წერის უნარი. ისინი შეძლებენ დაწერონ მიზნობრივი ტექსტები, შეძლონ თვითგამოხატვა. აგრეთვე წინადადებების სწორად აგებას, პუნქტუაციის ნორმების დაცვას. ისევე მაღალშედეგიანები იქნებიან წერაში როგორც წიგნიერების სხვა მიმართულებებში.

ასევე კვლევა დაეხმარება **კოლეგებს** მსგავსი პრობლემების მოგვარებაში, მათ ექნებათ ემპირიულად დადასტურებული სტრატეგიები, რომელიც მოსწავლეთა წერის უნარს გააუნჯობესებს. კვლევის ავტორთა გარდა, პედაგოგთა დიდი ნაწილი შედეგების გაზიარების შედეგად შეძლებს, ეფექტური სტრატეგიები გამოიყენონ საკუთარ პრაქტიკაში.

ვფიქრობ, რომ **კვლევა დამეხმარება მე** პროფესიულ ზრდაში, მეცოდინება ერთის მხრივ როგორ გავაუნჯობესო მოსწავლეთა უნარები, ავამაღლო მათი შედეგები. ასევე მეცოდინება კვლევის ეფექტი, მომავალში რომ ვიმუშავო მიზნის მისაღწევად სწორედ ამ გზით.

## თავი II კვლევის მიზნები და ამოცანები

### 2.1 კვლევის კითხვები/ჰიპოთეზა

ტექსტის შინაარსის დაწერა ერთგვარად სიმარტივედ მიაჩნიათ, რეალურად კი მოსწავლეს უწევს წაკითხულ ტექსტს აზრი არ დაუკარგოს, ააგოს წინადადებები გრამატიკული წესების დაცვით, უწევს კავშირების, ფონეტიკის ორთოგრაფიის და პუნქტუაციის მარტივი წესების დაცვა. შესაბამისად ყოველივეს მიღწევა ბავშვისთვის რთულია. ხოლო მასწავლებლის სწორად მუშაობის შემთხვევაში კი მიღწევადი კვლევის ჰიპოთეზა ზემოთქმულიდან გამომდინარეობს და ასე ფორმულირდება:

**ჰიპოთეზა**–პრობლემის და მისი გამომწვევი მიზეზის სწორად აღმოჩენით, მასწავლებლის მიზნობრივი მუშაობით, ინოვაციური მეთოდების გამოყენებით, საინტერესო და შედეგიანი სტრატეგიების გამოყენებით შესაძლებელია მოსწავლეთა მართლწერის უნარის განვითარება.

*აქვე, ვაყალიბებთ საკვლევ კითხვებს, რომლებზეც პასუხის გაცემა, მოგვცემს საშუალებას, სწორად ავირჩიოთ ჩარევის გზა და დავგეგმოთ ისეთი სტრატეგიები, რომელიც მიზნის მიღწევაში დაგვეხმარება.*

1. წერისას ძირითადად, რა ტიპის შეცდომებს უშვებენ დაწყებითი საფეხურის (IV კლასის) მოსწავლეები?
2. რა არის გამოკვეთილი პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზი?
3. რა უფრო უჭირს ბავშვებს წინადადების სწორად აგება თუ პუნქტუაციის წესების დაცვა?
4. რა სახის მეთოდები/სტრატეგიები ახდენს დადებით გავლენას, მოსწავლეთა წერის უნარის განვითარებაზე?

საკვლევ კითხვებზე სწორი პასუხის მიღება, საფუძველი იქნება შესაბამისი ინტერვენციის დაგეგმისთვის, მიზნობრივი ინტერვენციები კი ჩვენი რწმენით მიზნის მიღწევის საშუალებას მოგვცემს და გაგვიყვანს შედეგზე, რომელიც ესგ-ს მიხედვითაა განსაზღვრული.

## 2.2 კვლევის მიზნები /შედეგები

### კვლევის მიზანი

- დავადგინოთ პრობლემების გამომწვევი მიზეზები;
- გავცნოთ საკვლევ თემასთან დაკავშირებულ მეთოდურ ლიტერატურას და არსებულ კვლევებს;
- მონაცემთა ანალიზის საფუძველზე შევიმუშავოთ ეფექტური ინტერვენციები
- დავეხმაროთ მოსწავლეებს წერიითი უნარების გაუმჯობესებაში

ვაპირებთ, მეთოდების და სტრატეგიების გამოყენებას, რომელიც გაგვიყვანს შემდეგ **შედეგებზე**:

-მოსწავლეს შეეძლოს, წინადადებების სწორად აგება, სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტების შეთხზვა. რაც გულისხმობს ბავშვებს შეეძლოთ ტექსტის გაგრძელების დაწერა, ან პერსონაჟის ალაპარაკება, წერილის მიწერა, ილუსტრაციის მიხედვით მოთხრობის შედგენა და ა.შ.

-მოსწავლეს შეეძლოს შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა და თვითგამოხატვა.

-მოსწავლე სწორად აგებდეს წინადადებებს და იცავდეს პუნქტუაციის ნორმებს.

## 2.3 კვლევის ამოცანა/ამოცანები

კვლევის ამოცანაა, პასუხი გავცეთ კვლევის მთავარ კითხვას: **როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს წერიითი უნარების გაუმჯობესებაში?**

- რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენება;
- ინტერვენციების დაგეგმვა;
- ინტერვენციების განხორციელება;
- ინტერვენციების შეფასება;
- კვლევის შედეგების ანალიზი;
- დასკვნის გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება;



## 2.4 კვლევის მოკლე მიმოხილვა

კვლევის დასაწყისში, ქართულის გაკვეთილზე ჩავატარე სტრუქტურირებული დაკვირვება, ვაწარმოე დაკვირვების ოქმი, რათა თვალსაჩინოს დამენახა პრობლემა. მოსწავლეებს შევავსებინე ანკეტები, რომ უკეთ დამენახა მათი დამოკიდებულებები წერის სირთულეებისა თუ დამხმარე საშუალებების შესახებ. გავეცანი ლიტერატურას, წერისა და მეტყველების სირთულეების და წერის უნარის გასავითარებლად ეფექტური მეთოდოლოგიის შესახებ. განვახორციელე პრობლემის უკეთ დანახვისკენ მიმართული სამუშაო, კერძოდ პრეტესტი. შედეგად გამოიკვეთა პრობლემა. რომელიც ორი კლასის მაგალითზე სხვადასხვაგვარად წარმოჩინდა. ნინოწმინდის საჯარო სკოლის მე-4 კლასელებს განსხვავებული სიმწვავის პრობლემები ჰქონდათ. იელის საჯარო სკოლის მე-4 კლასელებთან კი პრობლემა სხვა სამუშაოს მოითხოვდა. შესაბამისად, დავსახეთ გადაჭრის გზები, რომელიც მოსწავლეთა მონაცემებიდან გამომდინარე ორი კლასის ჭრილში გაიყო. ინტერვენციები სხვადასხვა სირთულით განისაზღვრა, მოხდა სტრატეგიების სისტემატიური გამოყენება, რის შემდეგაც პოსტ-ტესტით განვსაზღვრეთ კვლევის შედეგი ინდივიდუალურად ორივე კლასისთვის, ასევე სხვადასხვაგვარი იყო დასკვნები და რეკომენდაციები, თუმცა იყო გადაფარვაც ზოგად მიმართულებებთან მიმართებაში.

### თავი III ლიტერატურის მიმოხილვა-ანალიზი

#### *წერა - თვითგამოხატვის საშუალება*

ადამიანის ცხოვრებაში უმთავრესი მიმართულებაა თვითგამოხატვა, სამყაროსთან ურთიერთობა და კომუნიკაცია სწორედ იმას ეფუძნება, რომ ადამიანმა მოახდინოს როგორც სხვისი აზრების და განცდების დეკოდირება, ასევე საკუთარს გამოხატვა. თვითგამოხატვა თავისმხრივ ორი ფორმით შეუძლია მოსწავლეს, ზეპირად და წერილობით. სათქმელის ამგვარად გამოხატვის მიმართულების ხაზგასმას ვხვდებით ეროვნულ სასწავლო გეგმაში, აგრეთვე ამაზე საუბარია სხვადასხვა ნაშრომებში „მშობლიური ენის სწავლება დაწყებით საფეხურზე ემსახურება თვითგამოხატვისათვის აუცილებელი ენობრივი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, სწავლების ყველა ძირითადი - ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის - მიმართულებით.“ „მოსწავლეები უნდა დაეუფლონ მხატვრული, შემეცნებითი და ყოფითი ტექსტების შექმნის, აღქმისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევებს. მათ უნდა ისწავლონ ტექსტების დამოუკიდებლად შედგენა, ტექსტებში მოცემული საკითხების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, მათი ანალიზი და შეძლონ დამოკიდებულებების (პოზიციისა და შეფასებების) თავისუფლად გამოხატვა.“ (ეროვნული სასწავლო გეგმა)

წერა ადამიანს საშუალებას აძლევს, გამოხატოს თავისი აზრები და ფიქრები, თვალსაჩინო გახადოს ისინი მკითხველისათვის. წერთი მეტყველება ეს არის წერის საშუალებით კომუნიკაცია, რომელიც გულისხმობს: ავტორს, ანუ ადრესანტს - ვინც წერს; ადრესატს, ანუ მკითხველს - ვისთვისაც წერენ; კომუნიკაციის მიზანს - რისთვისაც წერენ (ინასარიძე, 2013).

#### *მართლწერის შესწავლის მნიშვნელობა*

მართლწერის შესწავლის მიზნებსა და მნიშვნელობას, ვიაზრებთ მასწავლებელთა დიდი ნაწილი, ვთვლით რომ თეორია მნიშვნელოვანია იცოდეს მოსწავლემ და ასევე იყენებდეს მას პრაქტიკაში. ამავეს ადასტურებენ პედაგოგიკის პროფესორები. „მართლწერის შესწავლას აქვს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობა. მართლწერის წესების შესწავლით მოსწავლე აზუსტებს, უკეთ აცნობიერებს და მტკიცედ ეუფლება მშობლიური ენის ბუნება-აგებულებას, რითაც ღრმავდება თეორიული ცოდნა, ინტენსიურად ვითარდება აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება და სხვა ფსიქიკური ფუნქციები. დაწყებით საფეხურზე მოსწავლე სწავლობს მორფოლოგიის, ორთოგრაფიის, პუნქტუაციის, სინტაქსის ნაწილს, რათა შეძლოს

სწორი წერა. მართლწერის წესების ცოდნა დიდად უწყობს ხელს ცალკეული სიტყვებისა და შესიტყვებების ფორმის დაუფლებას, მეტყველების განვითარებას. ნაწერი ვერ იქნება ენობრივად გამართული და წიგნიერი, თუ მასში ორთოგრაფიული შეცდომებია. ამიტომ სკოლაში დიდი ადგილი ეთმობა ორთოგრაფიის სწავლებას, რომლის მიზანი მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლებაა. ორთოგრაფიის წესების სწავლებას საფუძველი დაწყებით კლასებში ეყრება.

როგორც არაერთგზის აღინიშნა, ქართული ენაში წარმოთქმა და წერა უმთავრესად ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ აქ მართლწერის საკითხები არ იწვევს ისეთ სიმწვავეს, როგორსაც სხვა ენებში, სადაც წარმოთქმა და მართლწერა ერთმანეთს არის დაცილებული (რუსული, გერმანული, ინგლისური და ა. შ.) თითქოს მართლწერაზე აღარ უნდა გვიხდებოდეს საუბარი, მაგრამ ეს ასე არ არის. ორთოგრაფიული წესების ცოდნის გარეშე, ვერცერთი ქართველის მეტყველება ვერ იქნება დახვეწილი და გამართული (მაღლაკელიძე, 1996: 228).

მართლწერის სწავლას აქვს როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მნიშვნელობა. მართლწერის წესების შესწავლით მოსწავლე აზუსტებს, უკეთ აცნობიერებს და მტკიცედ ეუფლება მშობლიური ენის ბუნება-აგებულებას, რითიც ღრმავდება თეორიული ცოდნა, ინტენსიურად ვითარდება აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება და სხვა ფსიქიკური ფუნქციები. მართლწერის წესების ცოდნა დიდად უწყობს ხელს ცალკეული სიტყვების და შესიტყვების ფორმის დაუფლებას, მეტყველების განვითარებას.

### ***წერა როგორც სირთულე***

წერა რთული პროცესია, მოითხოვს ფაქტების, გარემოებების ცოდნას, სწორად წერის უნარს, პუნქტუაციის წესების ფლობას და ფანტაზიას. არაერთი ავტორი ამ მოსაზრებას ადასტურებს. „წერა შემოქმედებითი და, ამავე დროს, ინტელექტუალური პროცესია, ვინაიდან იგი ერთდროულად საჭიროებს ცოდნასა და ფანტაზიას, ის, რაც იგი, უნდა გადმოსცე შენებურად; წერის დროს ადამიანის გონება მთლიანად მობილიზებულია, ამ დროს იგი ურთიერთობს გარემოსთან“ (გოდუაძე, 2014). ზემოთაღნიშნულ სირთულეებს ემატება, ნებისყოფის ფაქტორი. რომელიც ყველა ბავშვს ერთნაირად არ აქვს განვითარებული, შესაბამისად მათთვის წერა აღიქმება სირთულედ. თუ გავიხსენებთ, რომ შემოქმედებითი აზროვნება „რთულ ხანგრძლივ პროცესს წარადგენს, რომელშიც ნებისყოფა ყოველთვის მნიშვნელოვან ელემენტად მოიაზრება“ (უზნაძე, 1998:620), წერის უნარის ჩამოყალიბებას დიდი დრო, ძალისხმევა და ნებისყოფა სჭირდება, როგორც მოსწავლის, ასევე მასწავლებლის მხრიდან. ვინაიდან

მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ბავშვს, ტექსტზე მრავალმხრივი მუშაობა, არა მხოლოდ შინაარსის წვდომა არამედ ლექსიკურ ერთეულებზე დაკვირვება, მათი გამდიდრება. ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების სწავლება, პრობლემის დანახვა, გადაჭრის გზების ძიება და სხვა. ტექსტის შინაარსის, თხზულების, წერილის, ნაწარმოების გაგრძელების წერა „ერთნაირად ითხოვს შესწავლილი მასალის ცოდნა-გაგებას, მის გამოყენებას, კომპლექსური იდეებისა და მონაცემების საზრისის მიხედვით გადაჯგუფება-დალაგებას ლოგიკურ ქვეჯგუფებად და მათ შორის ლოგიკური კავშირების დადგენას, მასალის ორგანიზებასა და შემადგენელ კომპონენტებად სტრუქტურირებას, სხვადასხვა კომპონენტის საფუძველზე ახალი სტრუქტურების შექმნასა და ჰიპოთეზების წამოყენებას, პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენებას, შეფასებითი მსჯელობისათვის აუცილებელი კრიტერიუმების შემუშავებას, არგუმენტსა და გადაწყვეტილებებს შორის შედარებითი ღირებულებების დადგენას, საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულ დასაბუთებას, დასკვნების გარკვეულ მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებას, პოზიციისა და მისი კონტრარგუმენტების განხილვის საფუძველზე დასკვნის გამოტანას, პრობლემის გადაჭრის რამდენიმე გზიდან ერთ-ერთის არჩევის მართებულობის დასაბუთებას, მტკიცებულების მნიშვნელობის დაზუსტებას, მონაცემებისა და დასკვნების შესაბამისობის დადგენას, პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვას, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას ან გამოგონებას“ (გოდუაძე, 2014:7).

ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების გათვალისწინება ცხადია ქმნის წერის სირთულეს. თუმცა წერის პრობლემის გამომწვევ მიზეზებს, გარე ფაქტორებიც ქმნის. მნიშვნელოვანია მასწავლებელმა იცოდეს მათ შესახებ. „პრობლემის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს. ის მაშინ იჩენს თავს, როცა მასწავლებელი მუშაობის დროს:

- არითვალისწინებს საგნის სტანდარტს;
- ასაკობრივ თავისებურებებს;
- სწორადვე არ არჩევს მეთოდებსა და აქტივობებს;
- შეფასების ფორმებს.

უნდა ითქვას, რომ მასწავლებელი პრობლემებსა წყდება არამეშვიდეკლასში, არამედ ეს პრობლემები ყველაზე თვალსაჩინოსწორედ 12-13 წლის ასაკშია, რადგან კოგნიტური, ემოციური,

ფიზიოლოგიური დამორალური განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ასაკია.“ ( მ. ფარეხელაშვილი 2016. წ.)

### **გრამატიკის სწავლების დასაწყისი და ფორმა**

მართლწერა სკოლაში ცალკე დისციპლინა არ არის. იგი ენის სწავლების ერთ-ერთი კომპონენტია და მჭიდროდ უკავშირდება ფონეტიკის, სინტაქსის და განსაკუთრებით კი მორფოლოგიის საკითხთა სწავლებას.

სწორედ ამიტომ არის ვრცლად წარმოდგენილი მართლწერის საკითხები II-VI კლასების სახელმძღვანელოებში.

ორთოგრაფიას საფუძველი დაწყებით კლასებში ეყრება. სწავლების პირველივე წლიდან მახვილდება ყურადღება ცალკეულ სიტყვათა მართლწარმოთქმასა და მართლწერაზე, ხოლო მომდევნო კლასებში კი მართლწერის საკითხთა ხვედრითი წილი თანდათანობით იზრდება. როგორც გ. ახვლედიანი აღნიშნავს, „ქართული ენა იმ იდეალურ ენათა რიცხვს ეკუთვნის, სადაც მართლწარმოთქმა და წერა უმთავრესად ერთმანეთს ემთხვევა.“ (ნ. მაღლაკელიძე 2013 წ.)

მართლწერის შესწავლის მთავარ ფაქტორს, წარმოადგენს ერთი მხრივ, წესების ცოდნა, მეორე მხრივ-სმენა, მხედველობა და ხელის მოძრაობა (მოტორიკა). მასწავლებელი ყველა ამ ფაქტორს ეყრდნობა მოსწავლეებთან მუშაობისას. (ნ. ჯაში 2013 წ.)

დაწყებით კლასებში როგორც ზემოთ საფეხურზე, გრამატიკა ლიტერატურასთან ინტეგრირებულია, კონკრეტულ საფეხურზე არის ლოგიკური ბმა წინარე საკითხებთან. IV კლასი იწინასწარმდგინებს სწავლით სასაღამოო რეგულაციებს. მორფოლოგიის გაცნობასთან ერთად წავლობენ მასთან დაკავშირებულ მართლწერის სადამართლმეტყველების საკითხებს.

მორფოლოგიასა და ორთოგრაფიასთან ერთად მნიშვნელობა ენიჭება პუნქტუაციას. IV კლასის ბოლოს ბავშვი უნდა ფლობდეს ძირითად სასვენიშნათა სისტემას და მათ გამოყენებას.

**საგულისხმოა, რომ**  
**ამჟამად ქართული ენა დაწყებითი სკოლის ექვსივე კლასში ლიტერატურულ მასალასთან ინტეგრირებულიად სწავლება.**

საქართველოში განათლების რეფორმის შედეგად, წერა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი და სავალდებულო გახდა, ამიტომაც ჩვენ, მასწავლებლებმა უნდა ვიზრუნოთ, მოსწავლეებს დაწყებითი საფეხურიდანვე ვასწავლოთ გამართულად წერა.

## გრამატიკის შესწავლის ეფექტური მეთოდები

ვიდრე მასწავლებელი წერის მეთოდს შეარჩევს, ცხადია საკუთარი მოსწავლეების უნარები უნდა გაითვალისწინოს, ამასთანავე მასწავლებელს უნდა ესმოდეს წერა როგორც პროცესი რამდენ განსხვავებულ ჩვევას მოითხოვს. „იმისათვის, რომ კარგად წერონ, მოსწავლეებმა უნდა განვიტარონ სხვადასხვა უნარი:

- **საბაზისო წერითი უნარები:** ესენია: ორთოგრაფია, პუნქტუაცია, ხელით ან კლავიატურით წერა და წინადადების სტრუქტურა (მაგ: გადამბული წინადადებებისა და ფრაგმენტების გამოყოფა). საბაზისო წერითი უნარებს ზოგჯერ წერის „მექანიკასაც“ უწოდებენ.
- **ტექსტის შექმნა:** აქტიულობის ხმებაფიქრების კონკრეტულ ენაზე გადმოთარგმნა, რასაც შესაძლოა წერის „შინაარსიც“ ვუწოდოთ. ტექსტის შექმნა მოიცავს სიტყვათა მარაგს, დეტალების სრულყოფასა და გამოხატვის სიწმინდეს.
- **წერის პროცესები:** განსაკუთრებით დაწყებით კლასებში, კარგი წერა მოითხოვს გეგმას, გამეორებას და ნაშრომის რედაქტირებას. ეს პროცესები მნიშვნელოვანია წერაში წარმატების მისაღწევად და ამის შედეგად მოსწავლეების საბაზო და საშუალო საფეხურებზე ვითარდებიან.
- **წერის ცოდნა:** წერის ცოდნა მოიცავს დისკურსისა და ჟანრის გააზრებას – მაგალითად, იმის გაგება, რომ ნარატივი ინფორმაციული ტექსტის განსხვავებული დარის ორგანიზებული. კიდევ ერთმა მაგალითად შეიძლება დავასახელოთ წერაში იზნეაუდიტორიისთვის, რაც გულისხმობს იმას, რომ მწერალს გააზრებული აქვს მნიშვნელობის ნათლად და სათანადოდ გადმოცემის საჭიროება და იანებისთვის, რომლებიც კონკრეტულ ნაშრომს წაიკითხავენ.“ (ნ. იორდანაშვილი 2018 წ.)  
წერის ეფექტური სწავლება, მხოლოდ საჭირო უნარების გათვალისწინებას და სტრატეგიების გამოყენებას არ გულისხმობს, მასწავლებელს უნდა შეეძლოს წერის პროცესისთვის ეფექტიანი გარემოს შექმნა, მოსწავლეთა ინტერესის გათვალისწინება და წერის დაკავშირება მოსწავლის შინაგან სამყაროსთან, რაც გაზრდის მოსწავლის მოტივაციას. სტრატეგიებიც სწორედ ამ

დებულებებს უნდა ეყრდნობოდეს რომელზეც საუბარია სასწავლო სახელმძღვანელოში „წიგნიერება“.

„წერის ეფექტურ სწავლებას რამდენიმე დებულება უდევს საფუძვლად:

- მოსწავლეებისთვის წერის მიზანი უნდა იყოს გაცნობიერებული.
- წერის მიზანი მოსწავლის პიროვნულ გამოცდილებას და ინტერესს უნდა უკავშირდებოდეს.
- ნაწერი ღირებული უნდა იყოს ავტორი მოსწავლისთვის, მასწავლებლისა და სხვა მოსწავლეებისათვის.
- წერამ სწავლის პროცესი უნდა წახალისოს.
- წერამ მოსწავლეებს სწავლის მოტივაცია უნდა გაღვიძოს და ახალი ცოდნის შექმნას უნდა შეუწყოს ხელი.“

სტრატეგიები:

- „წერის სახელოსნო“- გულისხმობს რამდენიმე ეტაპს, თავდაპირველად მასწავლებელი ეხმარება წერის პროცესში, შემდეგ აძლევს მოდელს, მაგ. წერს თხზულებას და განიხილავს, როგორ დაწერა აზრადი, როგორ ააგო შინაარსი. ხოლო ბოლო ეტაპზე მოსწავლეები წერენ და ხდება განხილვა.
- „დამოუკიდებელი წერა და ნაწერის გაზიარება“- სტრატეგია გულისხმობს მოსწავლეთა ნაწერის ხმამაღლა კითხვას და ურთიერთშეფასებას. გამოიყენება როცა მოსწავლეებს უკვე შეუძლიათ მიზნობრივი ტექსტების წერა და საჭიროა ხარისხის ამაღლება.
- „PAFT -როლი, აუდიტორია, ფორმატი და თემა“-სტრატეგია მოსწავლეს ეხმარება, უკეთ გააცნობიეროს საკუთარი როლი წერის პროცესში, გაითვალისწინოს აუდიტორია და შესაბამისად შეარჩიოს თემა. ამ გზით ის უკეთესად აყალიბებს იდეებს და ცდილობს პასუხისმგებლობით შექმნას ღირებული ტექსტი რომელსაც აუდიტორია მოისმენს.
- „სამწუთიანი ესე“- მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს გაიხსენონ პერსონაჟი, ან სიტუაცია რომელიც დაფაზე დაწერილ თემასთან არის კავშირში, სამ წუთში ბავშვებმა უნდა დაწერონ ამბავი ამ პერსონაჟზე. (კ.პაკვა, თ. ჭანტურია, მასწავლებლის სახელმძღვანელო „წიგნიერება“, თბ. 2012)

## ჩატარებული კვლევები

დღემდე წერის მიმართულებით ჩატარებულია სხვადასხვა კვლევა. ერთ-ერთი ფსიქოლოგ მჭედლიშვილისაა, ის ასახელებს, საუბრობს შემდეგი სახის შეცდომებზე: სიტყვათა შეცვლა, გამოტოვება, განმეორება, ჩანაცვლებები, დამახინჯებები, შერწყმები, ანალოგიით გამოწვეული შეცდომები, ასო-ბგერათა შეცვლა. ნაშრომში აღნიშნულია, რომ შეცდომათა გამოსწორებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლეთა აქტიურობას, **ბავშვები უნდა მონაწილეობდნენ შეცდომების დადგენაში, რადგანაც ასეთი მიდგომა ხელს უწყობს შეგნებულ დასწავლას.**

ასევე, ჩვენმა კოლეგებმა, პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ჩაატარეს კვლევა *„მოსწავლეთა წერის უნარების გასაუმჯობესებელი თანამედროვე სტრატეგიების ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე წალკის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალშენის საჯარო სკოლის V – VI კლასების მაგალითზე.“ მათი მიზანი იყო პრობლემის გამოკვლევა და წერის თანამედროვე სტრატეგიების გამოცდა. მათი კვლევა იყო ეფექტიანი, მოსწავლეებში განავითარეს წერითი უნარები, აღმოფხვრეს არსებული პრობლემები. შესაბამისად, მათთანგავიარე კონსულტაციები და მივიღე რჩევები. ვინაიდან, კოლეგების კვლევა ცენტრის მიერ აწი უნდაშეფასდეს, ჩვენ მათი ლიტერატურა ან მეთოდოლოგია ვერ გამოვიყენეთ. მხოლოდ კონსულტაციით შემოვიფარგლეთ.*

IV კლასის ფარგლებში წერის უნარის კვლევა არ ჩატარებულა, ჩემს ხელთ არსებული ბეჭდური თუ ელექტრონული წყაროების მონაცემებით. ასევე დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გამოკითხვით გავარკვიეთ, რომ წერის გაუმჯობესების მიზნით ქართულ რეალობაში კვლევა არ ჩატარებულა.



#### თავი IV კვლევის მეთოდოლოგია

ჩატარებული კვლევის ფარგლებში მიზანშეწონილად მივიჩნიე თვისებრივი მეთოდების – დაკვირვების, ფოკუს-ჯგუფის და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების –**ანკეტირება, კვაზიექსპერიმენტის გამოყენება, პრე და პოსტ-ტესტებით.** კვლევის მეთოდების მრავალფეროვნება და კომპინირება ეფუძნება სანდოობის გაზრდას. თვისებრივი კვლევის შედეგების შედარება მოხდება რაოდენობრივთან. განვიხილავ გადამფარავ ფაქტებს და გამოვყოფ მიმართულებას სადაც გამოიკვეთება განსვლა.

##### 4.1 კვლევის ეთიკა

„კვლევის ეთიკა არის მორალური წესების და პროფესიული კოდექსის ერთობლიობა რომლითაც სოციოლოგიურ კვლევაში ხელმძღვანელობენ და ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის, წარდგენის და პუბლიკაციის პროცესში, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კონფიდენციალობის დაცვაზე. ამას თან ახლავს კვლევის ობიექტის უფლება უარი თქვას მონაცემების მიწოდებასა თუ პირადი აზრის გამოთქმაზე.“ (ელ-რესურსი: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=12188>) შესაბანისად, დავიცავი ინფორმაციული თანხმობის პრინციპი, მოსწავლეებმა თავიდანვე იცოდნენ რომ ერთვებოდნენ კვლევაში, რომლის მიზანი იყო წერითი უნარების გაუნჯობესება. ამ ცნობამ მათში მოტივაცია აამაღლა, რომ იწყებდნენ საინტერესო პროცესს. მათგან მივიღე თანხმობა, რომ კვლევის შედეგების ანალიზი ყოფილიყო მათი ინდივიდუალური შედეგის მაუწყებელი, რომელსაც განვიხილავდით კლასში, მოვახდენდით ერთმანეთის ნაწერის გაცნობა, რედაქტირებას.

პედაგოგებიც რომელიც ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობდნენ იცოდნენ მიზანი, აგრეთვე მათი საუბრის კონფიდენციალურობის დაცვა გახდა, მოტივატორი ყოფილიყვნენ მეტად გულწრფელნი და გახსნილად ესაუბრათ პრობლემებსა და გადაჭრის გზებზე.

##### 4.2 კვლევის სამიზნე ჯგუფი:

ნინოწმინდის N4 საჯარო სკოლის მეოთხე კლასის 9 მოსწავლე და მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ იელის საჯარო სკოლის 2 მოსწავლე.

**4.3 კვლევის ვადები ;**

აქტივობა	I	II	III	IV	V	VI	VII
საკვლევი პრობლემის შერჩევა, თანაავტორთან კონსულტაციები	X						
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება		X					
არსებული კვლევებისა და ლიტერატურის შესწავლა და ანალიზი		X	X				
კვლევის მეთოდების შერჩევა			X				
კითხვარების შერჩევა, დამუშავება			X				
ფოკუს ჯგუფის ჩატარება (თვისებრივი მეთოდი)			X				
მოსწავლეთა ანკეტირება ? (რაოდენობრივი მეთოდი)			X				
პრე-ტესტი (რაოდენობრივი მეთოდი)			X				
მონაცემთა დამუშავება(შეგროვება, ანალიზი)				X	X		

სავარაუდო ინტერვენციების დაგეგმვა					X		
ინტერვენციების განხორციელება					X		
ინტერვენციების შემდეგ მოსწავლეებზე დაკვირვება, ანკეტირება, პოსტ-ტესტი (თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები) ?						X	
ინტერვენციების შედეგების ანალიზი							X
შედეგების გაცნობა კოლეგებისათვის პრეზენტაცია						X	X

**4.4 მონაცემთა შეგროვების მეთოდები;**

კვლევის ფარგლებში გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

**-სასწავლო პროცესზე დაკვირვება**

ფოკუსირებული დაკვირვების მეთოდით, შესაძლოა მკვლევარმა მოიძიოს საჭირო მასალა, რასაც სტრუქტურირებული სახე ექნება და შედეგის ნათლად დანახვას აადვილებს. დაკვირვებისას ობიექტურ მასალას ვიძიებთ. დაკვირვება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რადგან მიმდინარეობს ბუნებრივ გარემოში, შესაბამისად სანდოა და ობიექტური.

- შესაბამისად, მეთოდი ეფექტიანი იქნება დავინახო ის პრობლემები, ავსახო მათი სიხშირე, რასაც მოსწავლეები უშვებენ დამოუკიდებელი წერისას საკლასო თუ საშინაო დავალებისას.

**-ფოკუს-ჯგუფი კოლეგებთან**

ფოკუს-ჯგუფი, გულისხმობს საკითხის ირგვლივ ჯგუფურ დისკუსიას, რაც საშუალებას მომცემს ახალი კუთხით დავინახო პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ფოკუს-ჯგუფის საუბარი პედაგოგის პოზიციიდან და გამოცდილებაზე დაყრდნობით პასუხს გაცემს საკვლევ კითხვებს:

-რა არის გამოკვეთილი პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზი?

*-რა სახის მეთოდები/სტრატეგიები ახდენს დადებით გავლენას, მოსწავლეთა წერის უნარის განვითარებაზე?*

*-მსჯელობისას გამოკვეთილი რჩევები, დამეხმარება ინტერვენციების შემუშავებაში.*

### **-ანკეტირება**

ანკეტირებისას რესპოდენტი საუბრობს გულახდილად, პირადი პოზიციიდან. შესაბამისად საინტერესოა, შევიტყო რას ფიქრობენ ისინი საკუთარ ცოდნაზე. მოსწავლეები გულწრფელად დააფიქსირებენ საკუთარ თვითშეფასებას ან იმ სირთულეებს რასაც თვლიან რომ აქვთ წერასთან დაკავშირებით. გამოკვეთენ პრინციპს რაც ემარებათ უკეთ წერაში. ამას კი დავაფუძნებ ინტერვენციას.

*-აღნიშნული მომეხმარება რაოდენობრივად დავთვალო მოსწავლეთა მიერ დაფიქსირებული სირთულეები, ან დამხმარე საშუალებები. მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, უკეთ დავინახავ პრობლემას და მოვარგებ ინტერვენციებს.*

**-პრე და პოსტ ტესტები-** გულისხმობს კვაზიექსპერიმენტს და მიეკუთვნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდს, ხორციელდება განსაზღვრულ დროში და საშუალებას იძლევა მონაცემების რაოდენობრივად დათვლის საშუალებას. მნიშვნელოვანი მეთოდია რათა შეივსოს და ჩარჩოში მოექცეს მონაცემები, რომელსაც სხვადასხვა მეთოდით ვეძიებთ. გასათვალისწინებელია რომ პრე და პოსტტესტები აუცილებლად იდენტური უნდა იყოს იმის მიხედვით, თუ რას ზომავს ტესტი. გარდა ამისა, ტესტები უნდა იყოს მსგავსი სირთულის. პოსტტესტი უნდა შეიცავდეს იმავე ტიპის დავალებებს, რომლებსაც - წინარე ტესტი. თუმცა ტესტის დავალებები განსხვავებული უნდა იყოს, რადგან, დიდი ვარაუდით, მოსწავლეებს ემახსოვრებათ წინა ტესტის დავალებები და ეს ვალიდური გაზომვის საშუალებას არ მოგვცემს. გარდა ამისა, ზუსტად უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს სამუშაოდ მიცემული დრო; რასაკვირველია, ცდისპირებიც ერთი და იგივე უნდა იყვნენ.

*-აღნიშნული მეთოდი დამეხმარება, გავზომო კვლევის დასაწყისში მოსწავლეთა ცოდნა. გამოკვეთო პრობლემები, შევაფასო მათი სიმწვავე, რომ კვლევისას გამოყენებული ინტერვენციები გავხადო მიზნობრივი. აგრეთვე საშუალება მექნება, ზუსტად დავთვალო კვლევის ბოლო შედეგები. მონაცემთა ანალიზი საშუალებას მომცემს დავინახო დინამიკა, შევამოწმო ინტერვენციათა შედეგიანობა.*

დაკვირვების მეთოდის გამოყენებით, შევისწავლე საკვლევი საკითხი და შევაფასე მოსწავლეებში წერის უნარები.

კვლევის საწყის ეტაპზე დავაკვირდი მოსწავლეებს გაკვეთილებზე, მათ საკლასო და საშინაო დავალების ნიმუშებს, აგრეთვე შემაჯამებელ ნაწერებს, რათა გამეგო მათი წერის უნარები, ასევე ვაკვირდებოდი, რამდენად საინტერესო იყო დავალებები მოსწავლეებისათვის.

დაკვირვების დროს ვავსებდი სტრუქტურირებულ ოქმს (იხ. დანართი #1) ვინიშნავდი, შეცდომათა რიცხვს. დაკვირვების პროცესში დავინახეთ, რომ მოსწავლეები შეცდომების უმრავლესობას უშვებენ საშინაო დავალების წერისას. უჭირდათ განსაკუთრებულად რთული წინადადებების წერა, კავშირების სწორად შერჩევა გამოყენება, იყო ტავტოლოგიის შემთხვევებიც. ასევე დავინახე პუნქტუაციის პრობლემა, კერძოდ კი, არასწორ პოზიციაზე დასმული სასვენი ნიშანი და გამორჩენილი სასვენი ნიშანი.

დაკვირვების შედეგად მიღებული შედეგების გადამოწმება გადავწყვიტე პრე-ტესტებით. ტესტები მოიცავდა სამი ტიპის დავალებას: I. შინაარსის წერა; II. ტექსტის გაგრძელებების დაწერა; III. წერილი ავტორს.

ტესტებში მოცემულ დავალებათა შესაბამისობა ქართული ენისა და ლიტერატურის IV კლასის სტანდარტის წერის მიმართულებასთან:

ქართ. IV. 11. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მცირე ზომის ტექსტის შეთხზვა.

ქართ. IV. 12. მოსწავლეს შეუძლია შესწავლილი ტექსტის შინაარსის დაწერა; ავლენს თვითგამოხატვის სურვილს.

ქართ. IV. 13. მოსწავლეს შეუძლია გრამატიკული და ორთოგრაფიული თვალსაზრისით სწორი ფორმების გამოყენება წინადადების აგებისას და პუნქტუაციის ძირითადი წესების დაცვა.


ტესტის საშუალებით, გავადგინე წერის უნარების თავდაპირველი დონე. გავანალიზე ნაწერები წინასწარ შედგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ტესტის შედეგების ანალიზის, ანკეტირების შედეგების, ფოკუს-ჯგუფიდან მიღებული რჩევების, წაკითხული ლიტერატურის შეჯერებით, შევარჩიე რამდენიმე სტრატეგია, გავწერე ინტერვენციები (იხ. დანართი #5,) და შევიტანეთ ჯგუფებში. ორთვიანი მუშაობის შემდეგ, პოსტ-ტესტის (იხ. დანართი #4) შედეგებით გავზომე, გაიზრდა თუ არა მოსწავლეთა შედეგები ახალი სტრატეგიების გამოყენებით.

#### 4.5 მონაცემთა ანალიზი (გრაფიკები)

პირველადი შედეგების ანალიზი განვახორციელეთ დიაგრამების და ცხრილების საშუალებით, რამაც ნათლად დამანახა შედეგები და მომცა საშუალება კვლების მომდევნო ეტაპის განხორციელების. პირველადი კვლევის შედეგები განხილულია, ინტერვენციების შედეგებთან, შედარებითი ანალიზის გამოყენებით გზით. კვლევის მონაცემთა ანალიზი ითვალისწინებს ოთხ მიმართულებას: დაკვირვების ოქმის განხილვა, ანკეტირების შედეგები, ფოკუს-ჯგუფის პასუხების შეჯამება და პრე ტესტები.

შედეგების ანალიზისას მივიღეთ შემდეგი სურათი: **დაკვირვების შედეგები (ორი კვირის ანგარიში)**

**დიაგრამა #1 . დაკვირვების ოქმის განშლა. საკლასო, საშინაო დავალებების და შემაჯამებლის შეცდომები.**




-მოსწავლეთა შეცდომები 50 % საშინაო დავალებებზე მოდის, ხოლო 20-25% კი საკლასო სამუშაოზე, ყველაზე ნაკლები 10-25 % მოდის შემაჯამებელ წერაზე. რაც გვაფიქრებინებს რომ მოსწავლეებს აქვთ, არა ცოდნის პრობლემა, არამედ ყურადღების და პასუხისმგებლობის პრობლემა. ანკეტირებისას ვფიქრობ ვარაუდს ბავშვების აზრიც დამიდასტურებს.

- დაკვირვების ოქმი, თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მოსწავლეთა შეცდომებს. სწორედ ამიტომ დაიგეგმა კვლევა წერიტი უნარების გასავითარებლად.

### ანკეტირების შედეგები

დიაგრამა #2




-ანკეტაში ერთიანდებოდა დახურული და ღია ტიპის კითხვები. დახურული კითხვები დიაგრამაზეა წარმოჩენილი. ორივე მოსწავლე თვლის, რომ შეუძლია რთული წინადადებების აგება, პირველი მოსწავლე აღნიშნავს, რომ ტექსტის აგებისას ეხმარება ილუსტრაციები, მეორე კი ამბობს რომ შინაარსის მიხედვით წერა უფრო უადვილდება. პირველი მათგანი თვლის, რომ შეუძლია სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა, მეორე კი აღნიშნავს რომ აქვს ხარვეზები. ორივე მათგანი აღნიშნავს რომ მასწავლებელს უმეტესად მოწონს მათი ნამუშევარი. დახურული კითხვების დასასაბუთებლად ამბობენ შემდეგს, გვიადვილდება წერილის წერა. პირველის არგუმენტია, რადგან წერილი მოითხოვს გეგმის მიხედვით წერას, მეორე აღნიშნავს მიადვილდება შინაარსის წერა, რადგან მახსოვს ნასწავლი. პირველი მოსწავლე ამბობს

ყოველთვის კარგად ვწერ, საკლასოა თუ საშინაო, თუ დავალება არ არის ხანგრძლივად საწერი. მეორე ამბობს რომ წერს შემაჯამებელ დავალებებს უკეთესად რადგან ინდომებს, იცის რომ ეს დიდი პასუხისმგებლობაა.

### ფოკუს-ჯგუფის შედეგები

დიაგრამა #3. წერის პრობლემები, გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები.



-ფოკუს- ჯგუფის შეკრებისას მქონდა მოლოდინი რომ კოლეგები დამეხმარებოდნენ, სკოლაში ვინაიდან ქართულის კათედრა არ ფუნქციონირებს მასწავლებელთა სიმციროს გამო, შევიკრიბეთ ჰუმანიტარული საგნის პედაგოგები, ბუნებრივია მათაც აქვთ წერითი დავალებები და ჩავთვალე რომ შესაძლოა პრობლემა მათთვის ნაცნობი ყოფილიყო.


კოლეგებთან მსჯელობისას გამოიკვეთა რომ მათ პრაქტიკაშიც არის ორი მსხვილი პრობლემა ვრცელი ტექსტების წერა და პუნქტუაციის წესების უგულებელყოფა სწრაფად წერისას. ჯგუფის აზრით ამ პრობლემებს იწვევს ნებისყოფა/მოტივაციის ნაკლებობა და წერის ჩვევის განუმტკიცებლობა. ერთია ვასწავლით და მეორე სისტემატიურად ვუმტკიცებთ თუ არა უნარს.



გადაჭრის გზებზე საუბრისას მათ გამოკვეთეს შემდეგი, რომ პრობლემას მოვაგვარებ თუ მატვის საინტერესო ტექსტებს შევაქმნევინებ და ვამუშავებ სისტემატიურად. აგრეთვე მირჩიეს შეცდომათა გასწორების მეთოდით მუშაობა.


### პრე-ტესტის შედეგები

დიაგრამა #4. მოსწავლეთა მიერ სამუშაოს შესრულება მიზნობრივად და განსაზღვრულ დროში.




-პრე- ტესტი ჩატარდა 2 მოსწავლეს . მათ დაკისრებულ დავალებებს, კერძოდ შინაარსის წერა, წაკითხულის გაგრძელების წერა და წერილი ავტორს, თავი გაართვეს. ნაწერი შინაარსობრივად იყო მიზნობრივი, მოიცავდა 40-60 სიტყვას და მოესწრო თითოეულის წერა 10 წუთში. დიაგრამის მიხედვით. 100% წერს მიზნობრივად, 100% იცვებს დროის ლიმიტს. ასევე 100 % მოსწავლეების წერს სიტყვათა განსაზღვრულ რაოდენობს.

დიაგრამა # 5. წინადადებათა აგება.




-მოსწავლეებმა სულ ააგეს 41 წინადადება, აქედან თითქმის ყველა მრავალსიტყვიანი, რთული წინადადებაა. დიაგრამიდან ჩანს, რომ წინადადებათა 55% სწორად დაწერილია, 45%-ში კი არის შეცდომები, რომელიც ორი მიმართულებით იყოფა, ესენია: ა) სიტყვათა სწორი წყობა; ბ)ტავტოლოგია;

დიაგრამა # 6. პუნქტუაციის გამოყენების შედეგები




-მოსწავლეთა მიერ დასმულია სასვენი ნიშანთა 45 შემთხვევიდან. აქედან 91 % სწორად არის გამოყენებული, შეცდომით დასმულია 9%. შეცდომით დასმულ სასვენი ნიშანთა მცირე რაოდენობა გვაფიქრებინებს რომ მოსწავლეებს აქვთ მათი გამოყენების ფაქტობრივი ცოდნა. მოსწავლეთა პუნქტუაციაში დაშვებულ შეცდომათა დიდი ნაწილი ეხება მძიმის გამოყენებას, ამ სასვენი ნიშანს იყენებენ საჭირო და არასაჭირო ადგილას.

**დიაგრამა # 7. სასვენი ნიშნების გამოტოვების შეფარდება, სწორ და შეცდომით დასმულ ნიშნებთან.**




-დიაგრამა ითვალისწინებს სასვენი ნიშნების დასასმელი რაოდენობის შედარებას დასმულ, შეცდომით დასმულ და გამოტოვებულ რიცხვთან.. პრე- ტესტის ნაწერებიდან გამომდინარე მოსწავლეებს უნდა დაესვათ 70- მდე სასვენი ნიშანი, მათ 45 ნიშანი დასვეეს, ამათგან 4 ნიშანი გამოიყენეს და გამოტოვეს 20 ნიშნამდე.

დიაგრამა #8. სწორად დასმულ სასვენ ნისანთა სახეობის შედარება გამოტოვებულ რიცხვთან.



-დიაგრამა #6- ის შედეგი საინტერესოა. ორივე მოსწავლე სწორად იყენებს წერტილს და მძიმეს, იცის მათი გამოყენება, მაგრამ ჩანს რომ სწორედ ამ სასვენი ნიშნებს ტოვებენ ისინი სწრაფად წერისას. დიაგრამაში გამოტოვებულია, სასვენი ნიშნები (!, ?, ;) იგულისხმება რომ მოსწავლეებმა ისინი სწორად გამოიყენეს და არ უგულებელყვეს.


დიაგრამა # 9. შეცდომები ინდივიდუალურ ჭრილში



-საჭიროდ მივიჩნევ პრე-ტესტში დაშვებული შეცდომები, გამეაზრებინა ინდივიდუალურ ჭრილში, რომ საშუალება მომცემოდა ანკეტის შედეგებთან შემედარებინა. სურათი ამგვარია, მეორე მოსწავლის შემთხვევაში შეცდომები ნიშანდობლივია, თუმცა სასვენ ნიშანთა გამოტოვების შემთხვევები ნაკლებია. პირველი მოსწავლის შეცდომები თითქმის უმნიშვნელოა პუნქტუაციაში, თუმცა გამოტოვებულ ნიშანთა რიცხვია მაღალი.

*-პრე-ტესტის შედეგზე დაყრდნობით ორივე მოსწავლესთან სამუშაოა წერიითი უნარების დახვეწვის მიმართულებით.*

**დიაგრამა # 10. შეცდომები დროის მიხედვით**



*-შეცდომათა დროის მიხედვით გაანალიზება მნიშვნელოვანია, იმდენად რამდენადაც დროის გასვლა მოსწავლეთა ნებისყოფას და ყურადღებას აღუწებს. შესაბამისად ანკეტირების და ფოკუს-ჯგუფში გამოკვეთილი პრობლემის ერთგვარ გადამოწმებას უწყობს ხელს.*

დიაგრამა გვიჩვენებს რომ შეცდომათა სამივე ტიპის თითქმის მესამედი, წერის დაწყებიდან შუა ეტაპამდე არის დაშვებული, ხოლო შეცდომათა დიდი წილი კი წერის ბოლოს. შესაბამისად ვასკვნი, რომ ყურადღება და ნებისყოფა დადებით კორელაციაშია შეცდომებთან.

## დასკვნები

1. მოსწავლეებს შეუძლიათ მითითებულ დროში, შექმნან მცირე ზომის (40-60 სიტყვა) ტექსტები. აგრეთვე შეუძლიათ სხვადასხვა ტიპის ტექსტის წერა (შინაარსი, შინაარსის გაგრძელება, წერილი )
2. მოსწავლეები ქმნიან მიზნობრივ ტექსტებს, აგებენ რთულ წინადადებებს, სადაც არის ტავტოლოგიის და სიტყვათა არასწორად შერჩევის პრობლემა.
3. საკმარისი დროის ქონის მიუხედავად მოსწავლეებმა მაინც დაუშვეს შეცდომა, რაც გვაფიქრებინებს რომ მოსწავლეების წერის უნარს სჭირდება დახვეწა. მე-4 კლასის ბოლოს მათ უნდა შეეძლოთ საშუალო სიდიდის ტექსტების წერა, როგორც შინაარსის ასევე ხარისხის დაცვით. შესაბამისად ინტერვენციები სწორედ ამ მიმართულებით უნდა მივმართო.
4. პუნქტუაციის მიმართულებით, ბავშვებს აქვთ სასვენ ნიშანთა გამოტოვების გაცილებით მეტი შემთხვევა ვიდრე არასწორად დასმის. ეს კი მაფიქრებინებს რომ ყურადღების დეფიციტის პრობლემის წინაშე ვდგავარ. მითუფრო რომ შედეგების ანალიზი კონკრეტულ სასვენ ნიშანთა გამოტოვების, მათი დასმის პირდაპირპროპორციულია. შედეგი თავისმხრივ გამორიცხავს რომ ბავშვმა, იმიტომ გამოტოვა წერტილი ან მძიმე რომ არ იცოდა სად დაესვა. თუმცა აქვე ტესტებზე დაკვირვებით ვხედავ რომ მძიმის გამოტოვების ერთი მიმართულება იკვეთება, რთულ წინადადებაში ზმნასთან არის მძიმე გამოტოვებული. ვფიქრობ ინტერვენციებში ამ კუთხით თეორიული მუსაობაც დადებით შედეგს მოგვცატანს.
5. საყურადღებო და საგულისხმოა, დიაგრამა #4 და #5 -დან იკვეთება პრობლემა, რომ მოსწავლეებმა გამოტოვეს, სასვენ ნიშნების საკმაოდ დიდ რიცხვი. საინტერესო იყო გაგვეო რომელ სასვენ ნიშანს ტოვებენ მოსწავლეები, არის თუ არა ეს მათი ცოდნის ნაკლებობა? ასევე დიდი რაოდენობით დასტურდება მათი გამოყენება. ეს გვეუბნება რომ პრობლემა არა მხოლოდ ცოდნასთან, არამედ ნებისყოფასა და ყურადღებასთანაც გვაქვს.
6. ტექსტის შედეგები ემთხვევა მოსწავლეთა ანკეტირების შედეგს, მოსწავლე რომელიც თვლიდა რომ შეუძლია წეროს მიზნობრივი ტექსტები და არ დაუვას შეცდომა, შეცდომათა მცირე რაოდენობა აქვს. ხოლო მოსწავლე რომელიც ამბობს რომ აქვს ხარვეზები ტესტმაც დაადასტურა.
7. როგორც მოსალოდნელი იყო მოსწავლეთა ნებისყოფა დროის გასვლასთან კორელაციაშია, რაც გადის დრო, იმატებს შეცდომებიც. შეცდომით აგებდნენ წინადადებებს და შეცდომითვე სვამდნენ სასვენ ნიშნებს. სასვენ ნიშანთა უგულებელყოფაც წერის ბოლო მონაკვეთში გაზრდილია.

მიღებული შედეგები გვეუბნება, რომ მოსწავლეებთან სამი მსხვილი მიმართულებით უნდა ვიმუშავო, კერძოდ: წინადადების სწორად აგება; ტავტოლოგიის შემცირება და პუნქტუაცია. ინტერვენციები უნდა დაგვეგმო, პრობლემის გამომწვევი მიზეზების გათვალისწინებით და მიმართო გამოკვეთილი პრობლემების მოგვარებისკენ.

## თავი V ინტერვენციები

### 5.1 ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება;

გავითვალისწინე სასწავლო პროცესზე დაკვირვების, ანკეტირების, ფოკუს-ჯგუფის და პრეტესტით მიღებული შედეგები, ამ მონაცემზე დაყრდნობით შევარჩიე, მოსწავლეთა ინტერესზე მორგებული, მიზნობრივი და სახალისო სტრატეგიები, რომლებსაც შედარებით იშვიათად ვიყენებდით სისტემატურად გაკვეთილებზე. კვლევის ფარგლებში კი ამ აქტივობების ყოველდღიური გამოყენება დავიწყე.

ინტერვენციების სახით, ორი თვის განმავლობაში, კლასში შევიტანე წერიტი უნარების გასაუმჯობესებელი შემდეგი სტრატეგიები:

**ინტერვენცია I –საუბრები პუნქტუაციის შესახებ-** კერძოდ, განვიხილეთ სასვენი ნიშნების დასმის წესები, ყურადღება კი გავამახვილე სად უნდა დავსვათ სასვენი ნიშანი, (მძიმე).

**ინტერვენცია II-წერის RAFT მეთოდი-** მოსწავლეები თავს აიგივებენ ამა თუ იმ პერსონაჟთან, ისტორიულ პირთან; ადრესატიც შეიძლება იყოს ლიტერატურული, ისტორიული პერსონაჟი, არჩევენ საუბრის თემას და წერენ წერილს ან მიმართვას.

*-წერილის ან მიმართვის დაწერა მოსწავლეს ეხმარება ტექსტის ინტერპრეტაციაში, მოკლე წინადადებების აგებაში, კონტექსტის გათვალისწინებით მიზნობრივი ტექსტის წერაში. როლში შესვლა ბავშვებისთვის სახალისო და საინტერესოა. ინტერვენცია მრავალმხრივია, მიზნობრივი ტექსტის შექმნასთან ერთად მოტივაციის ამაღლებაზეც მუშაობს.*

### ინტერვენცია III - „დამოკიდებულების ფურცელი“

1. აფორმებენ მოსწავლეები ბარათებს (წერენ სახელსა და გვარს, თარიღს)
2. მასწავლებელი ახსენებს პუნქტუაციის, მართლწერის წესებს.
3. მოსწავლეები წერენ საკუთარ აზრს ერთი აბზაცით, რომელიმე ნაწარმოების შესახებ.
4. ავსებენ თუ რა დაამახსოვრდებათ გაკვეთილიდან, კლასიდან გასვლის შემდეგ. ნაწერს ტოვებენ, აძლევენ მასწავლებელს - „დამოკიდებულების ფურცელი“



## დამოკიდებულების ფურცელი

სახელი, გვარი -----

კლასი -----

თარიღი -----

აზრი ნაწარმოების შესახებ-----

-----  
-----

თემა/რა დამამახსოვრდა/ება-----

-----  
-----

*-ინტერვენცია ითვალისწინებს აზრის მოკლედ გადმოცემას, შესაბამისად მოსწავლეთა ნებისყოფის გათვალისწინებით, ბავშვები დახვეწენ წინადადებათა სწორად აგების ცოდნას და ყურადღებით მოეკიდებიან პუნქტუაციის წესების დაცვას.*

